სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ისტორია** **History**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**ისტორიის ბაკალავრი** **Bachelor of History**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამით ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სასწავლო კურსებს. 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნებისათვის. აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 110 ECTS კრედიტი, ხოლო 10 ECTS კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომს). სასწავლო კომპონენტის 110 ECTS კრედიტიდან 90 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს, ხოლო 20 ECTS კრედიტი – სპეციალობის არჩევით დისციპლინებს. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის), ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა.[1] სტუდენტს შესაძლებლობა აქვს **60** კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად **(**ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის**,** მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის**,** სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი**/**მოდული**.** საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა**,** ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე**).** დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა **(**მაქს**. 40** კრედიტი**)** გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღრმავებლად**.** 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან აირჩიოს რომელიმე სასწავლო კურსი.

[1] „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს, გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თუკი მას დაფარული აქვს სწავლის ძირითადი სფეროს პროგრამითა თუ თავისუფალი კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით. მასწავლებლის მომზადების პროგრამის დასრულების შემდგომ, დიპლომსა და მის დანართში შესაძლებელია მიეთითოს ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლის შესახებ, რის თაობაზეც უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ბაკალავრის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ასევე გასცეს მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატი.

სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფ. თეიმურაზ პაპასქირი, პროფ. თედო დუნდუა, პროფ. ლევან გორდეზიანი, პროფ. მურმან პაპაშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ისტორიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა ისტორია შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას – საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა ისტორია სამართალმემკვიდრეა იმ საისტორიო პროგრამებისა, რომლებიც მოქმედებდა უნივერსიტეტში დღიდან მისი დაარსებისა. ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის ტრადიციებთან ერთად, პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ისტორიის დარგში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: • მისცეს მომავალ ბაკალავრებს ცოდნა საქართველოს და მსოფლიოს ისტორიის ყველა პერიოდის (უძველესი დროიდან დღემდე) შესახებ, საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდებისა და ფაქტების შესახებ მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; • მისცეს ისტორიოგრაფიული ცოდნა, როგორ ისწავლოს ისტორია – როგორ განმარტოს ისტორიული მოვლენები, როგორ აღწეროს ისტორიული პროცესი, როგორ ახსნას ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიური მიმართულებები. • მისცეს მათ საშუალება, შეძენილი ცოდნის საფუძველზე დასაქმდნენ საგანმანათლებლო და სახელმწიფო დაწესებულებებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში, ან გააგრძელონ სწავლა შესაბამისი სპეციალობით მაგისტრატურაში, • განუვითაროს მათ მოქალაქეობრივი ღირებულებები. ყოველივე ამას უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსი და მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც ამ

	პროგრამას ემსახურება. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარებისაკენ, სრულფასოვან მოქალაქედ და პატრიოტად ჩამოყალიბებისაკენ, ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.
სწავლის შედეგები	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ისტორიის** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, **ისტორია** განეკუთვნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ენების გარეშე) პროფილის დარგს/სპეციალობას. **ისტორიის** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია **„ისტორიის ბაკალავრი“** შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოთი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისათვის განსაზღვრულ კვალიფიკაციათა კატეგორიას. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ისტორიის** საბაკალავრო პროგრამაში ჩართული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობით (სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები) და საბაკალავრო ნაშრომის სინთეზით მიზნად დასახული ცოდნა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის საბაკალავრო დონის სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს და შესაბამისობაშია ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის უმაღლესი განათლების I საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები და მისი შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, კურსდამთავრებულისთვის განსაზღვრული დასაქმების სფეროები, სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) გათვალისწინებული დისციპლინები და მათი სილაბუსები, საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა და სხვა დამატებითი ინფორმაცია შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული საბაკალავრო დონის შედეგების მიღწევას. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებიც, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზნად ისახავს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის კომპლექსურ და საფუძვლიან შესწავლას. სასწავლო კომპონენტები განაწილებულია სავალდებულო და არჩევით საგნებად. დარგობრივი ცოდნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობის სასწავლო დისციპლინები კონცენტრირებულია სავალდებულო საგნების ბლოკში. მაპროფილებელი (ძირითადი) სპეციალობის სასწავლო

	დისციპლინები (სავალდებულო და არჩევითი) ითვალისწინებს როგორც ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტებს, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამის მიერ დასახული ერთიანი სწავლის შედეგების მიღწევას. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ისტორიის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართულ ყოველ სასწავლო კომპონენტს, გარდა საბაკალავრო ნაშრომისა, გააჩნია თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სილაბუსის ფორმა, რომელშიც ნათლად არის გაწერილი კურსის მიზნები, შედეგები, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა, რომელიც განაწილებულია თხუთმეტ სამუშაო კვირაზე. სილაბუსში მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის შესახებ, ასევე შუალედური შეფასებებისა და სხვა კრიტერიუმებით შეფასების შესახებ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ისტორიის** საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გააჩნია შემდეგი კომპეტენციები:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• **ხსნის** უძველესი დროიდან დღემდე მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ძირითად ეტაპებსა და პრინციპებს, ისტორიულ მოვლენებს სფეროს უახლესი გამოკვლევებისა და მიღწევების ფართო ცოდნაზე დაყრდნობით და **განსაზღვრავს** ცალკეული ისტორიული პერიოდისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს; • **აცნობიერებს** ისტორიის მომიჯნავე/დამხმარე დისციპლინების მნიშვნელობას ისტორიის რეკონსტრუქციისას; • **ადარებს** ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნების, ხალხებისა და კულტურების ისტორიას; • **განიხილავს** საქართველოს ისტორიას მსოფლიო ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების კონტექსტში.
ბ) უნარები	• **მოიძიებს** და **აანალიზებს** პირველად და მეორეულ ისტორიულ წყაროებს, **ახდენს** მათ კლასიფიკაციას და წარსულის რეკონსტრუქციას მოძიებული ინფორმაციის შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; • **აყალიბებს** კითხვებს და **პასუხობს** ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით; • **მსჯელობს** ისტორიოგრაფიული პრობლემების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით, შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; • **იყენებს** ისტორიული კვლევების, ისტორიის თეორიისა და მეთოდოლოგიის ზოგიერთ თანამედროვე მიდგომას, სფეროს შესაბამის ტერმინოლოგიურ აპარატს და **ახდენს** წარსულის **კრიტიკულ ანალიზსა** და მის **ინტერპრეტაციას**; • **ქმნის** ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.
გ) პასუხისმგებლობა და	• **პატივს სცემს** ცალკეულ ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა

ავტონომიურობა	ქვეყნებისა და ერების განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებს, შეხედულებებსა და კულტურას, როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს; • ისტორიული მოვლენების შეფასებისას **იცავს** ეთიკურ ნორმებს სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით; იცავს აკადემიურ ეთიკას; • სწავლასა და საქმიანობას **ახორციელებს** ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად ისტორიის საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სემინარის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს და აქტივობას: • ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; • პრაქტიკული მეთოდი; • წიგნზე მუშაობის მეთოდი; • წერითი მუშაობის მეთოდი; • ელექტრონული სწავლება; • დემონსტრირება; • ევრისტიკული მეთოდი; • დისკუსია/დებატები; • ჯგუფური მუშაობა; • ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; • ანალიზი და სინთეზი; • გუნდური მუშაობა; • დამოუკიდებელი მუშაობა; • და სხვა. გამოყენებული მეთოდები სრულად შეესაბამება უმაღლესი სწავლების I საფეხურის დონეს, კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს.
შეფასების სისტემა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი სახის შეფასების სისტემა: ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება: • ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; • ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება: (A) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

	(B) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F – 0 ქულა. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. **გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს <u>არანაკლებ **21** ქულა.</u> გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50%.
დასაქმების სფეროები	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ. ასევე საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში და ა.შ. გარდა ამისა, ისტორიის ბაკალავრს შეუძლია სწავლის გაგრძელება სწავლების შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში სხვადასხვა მიმართულებაზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-

	პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევრები: თსუ პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი; თსუ პროფესორი თედო დუნდუა; თსუ პროფესორი ლევან გორდეზიანი; თსუ პროფესორი მურმან პაპაშვილი; თსუ პროფესორი ჯაბა სამუშია; თსუ პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი; თსუ პროფესორი ნანი გელოვანი; თსუ ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე; თსუ ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე; თსუ ასოცირებული პროფესორი ქეთევან ნადირაძე; თსუ ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი; თსუ ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი; თსუ ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე; თსუ ასოცირებული პროფესორი მარიკა მშვილდაძე; თსუ ასოცირებული პროფესორი თეა წითლანაძე; თსუ ასოცირებული პროფესორი თეა ქარჩავა; თსუ ასოცირებული პროფესორი მერაბ კალანდაძე; თსუ ასოცირებული პროფესორი ლეილა (ია) ხუბაშვილი; თსუ ასოცირებული პროფესორი ფატიმა შეყლაშვილი; თსუ ასოცირებული პროფესორი მირიან მახარაძე; თსუ ასოცირებული პროფესორი დალი კანდელაკი; თსუ ასოცირებული პროფესორი ნინო სამსონია; თსუ ასისტენტ პროფესორი ლერი თავაძე; თსუ ასისტენტ პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი; თსუ ასისტენტ პროფესორი ქეთევან ქუთათელაძე; თსუ ასისტენტ პროფესორი ნათია ფიფია; თსუ ასისტენტ პროფესორი თამარ ანთაძე; თსუ ასისტენტ პროფესორი ზაალ გოგენია; თსუ მოწვეული ლექტორი, ისტ. მეცნ. დოქტ. გრანი ქავთარია. ყველა სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის თუ სახელმძღვანელოს ავტორი. ისტორიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსების სწავლება ხორციელდება თსუ I კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36) და VIII კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13). აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის, პროექტორებითა და მიკროფონებით. გარდა ამისა, პროგრამის სტუდენტები ზოგადჰუმანიტარული პროფილის და დამატებითი საბაკალავრო პროგრამების სასწავლო დისციპლინებს, არჩევით სასწავლო კურსებს ეუფლებიან თსუ სხვა სასწავლო კორპუსებშიც. რაც შეეხება ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ის მდებარეობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტსა (თსუ მერვე კორპუსი) და მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შესაბამის კათედრებზე (თსუ მერვე კორპუსი და თსუ მეხუთე კორპუსი).

	აღნიშნული ინსტიტუტები აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ- ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თემატური ბიბლიოთეკა და მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში შემავალი დეპარტამენტების წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები. უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს მრავალი ელექტრონული რესურსი, რომლებითაც სარგებლობა შესაძლებელია როგორც თსუ-ს კომპიუტერებიდან, ისე თსუ-ს გარედან, საუნივერსიტეტო ელფოსტის გამოყენებით. თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893. ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლებელია 150-200 სტუდენტის მიღება.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების, თემატური ვორკშოპების, სეზონური სკოლების, საველე სამუშაოების (ექსპედიციები, მივლინებები და სხვ.) ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ისტორიის პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ფართო საერთაშორისო კავშირები. პროფესორები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და ერაზმუს+-ის გაცვლით პროგრამებში. ამ უკანასკნელის ფარგლებში წაკითხულია ლექციების მოკლე კურსები დუბლინის უნივერსიტეტში, ბრემენის უნივერსიტეტში, ტუშას უნივერსიტეტში, ვენეციის უნივერსიტეტში და ა.შ. მათ გააჩნიათ მრავალი პუბლიკაცია უცხოურ ჟურნალებში. არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა მთელ რიგ უცხოურ უნივერსიტეტებთან თუ კვლევით ცენტრებთან (ვარშავის უნივერსიტეტი, ლა საპიენცას უნივერსიტეტი, ბრემენის უნივერსიტეტი და ა.შ.). ყოველივე ეს უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს.